



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ მ ბ ა



№ 13

„ 15 „ 11 2019 წ.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის განხილვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 17 ივლისის N25 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმებისა და სამოქმედო გეგმის“ მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის განხილვის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- მაკა ბერიძე - რექტორი
- როინ თათეშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- ლავრენტი ჩიბურდანიძე - წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი
- ვასილ მოსიაშვილი - რექტორის მოადგილე
- ეთერ ჩილინგარაშვილი - არღიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსი
- თამარ ხოსიტაშვილი - იურისტი
- ივანე ჯანოვი - ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი
- ვლადიმერ რაზმაძე - ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება გაეგზავნოს მასში მითითებულ პირებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე